ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №156664

ნომერი: AR149173

თარიღი : 08.05.2012

გაცემის თარიღი : 10.05.2012

გაცნობის თარიღი : 10.05.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაქარია ზირაქიშვილი პ/ნ 01024021439
- გიული ჭოხონელიძის ჩიხი 6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია #01.14.06.006.004 და ფართობი 17437 მ^2 მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება AR146547 ელექტრონული განაცხადის საფუძველზე, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადებას მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, საცხოვრებელი, დასასვენებელი,სავაჭრო და ა.შშ) ასაშენებლად. ტერიტორიის ფართობიდან და საპროექტო ობიექტის ფუნქციიდან გამომდინარე აღნიშნული ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე, რაც საჭიროებს ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე განხილვას. დადებითი დასკვნის შემთხევავში მოგიმზადდებათ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.